ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 15 თებერვლის რიგგარეშე ბიუროს სხდომის

დღის წესრიგი

1.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 01 მარტის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

მომხს: მანანა ბარბაქაძე

2 .ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 თებერვლის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

მომხს: მანანა ბარბაქაძე

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2021 წლის 15 თებერვლის სხდომის

ო ქ მ ი №5

დ. ხარაგაული

9 აპრილის ქ. #15

15 თებერვალი 2021 წელი

სხდომას თავმჯდომარეობდა - მანანა ბარბაქაძე - საკრებულოს თავმჯდომარე

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები

პავლე კიკალიშვილი საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე,

მალხაზი ფხალაძე - საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე,

ოთარ ლურსმანაშვილი - საკრებულოს იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე,

გივი თხელიძე- საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე,

დავით კიკნაძე განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე.

პაატა გოგოლაძე - ფრაქცია „ ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ - ს“ თავმჯდომარე,

აკაკი ლურსმანაშვილი - ფრაქცია „ ქართული ოცნება - მწვანეები“ - ს“ თავმჯდომარე,

ინგა მაღრაძე ფრაქცია „თვითმმართველობა ხალხისათვის“ თავმჯდომარე

თორნიკე ავალიშვილი- ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა-ძალა ერთობაშია“ - თავმჯდომარის

სათათბირო ხმის უფლებით:

რუსუდან გიორგაძე - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე (შვებულებაში ყოფნის გამო)

ქეთევან ზუმბაძე ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა-ძალა ერთობაშია“ თავმჯდომარის მოადგილე

მერიის წარმომადგენლები:

ვარლამ ჭიპაშვილი - მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე

ვლადიმერ გელაშვილი- ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები:

თ. მაღრაძე -ა.ა.ი.პ ,,მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების ცენტრი“-ს ჟურნალისტი ,

მ. შათირიშვილი - მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების სპეციალისტი

საკრებულოს აპარატი:

ლ. კალანდაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი,

ნ. თხელიძე - საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარის მანანა ბარბაქაძის ინფორმაცია, რომელმაც ბიუროს წევრებს გააცნო ბიუროს სხდომის დღის წესრიგი და საკითხთა ნუსხა,

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 თებერვლის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

მომხს: მანანა ბარბაქაძე

2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 01 მარტის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

მომხს: მანანა ბარბაქაძე

საკითხთა ნუსხა

1.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 23 დეკემბრის N23 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ვლადიმერ გელაშვილი

2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის განხილვისა და შეფასების თაობაზე

მომხს: ოთარ ლურსმანაშვილი

3.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2021 წლის სამოქმედო გეგმისა დამტკიცების შესახებ

მომხს: ინგა ბერაძე

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგისა და საკითხთა ნუსხის დამტკიცების თაობაზე .

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 10 წევრი:

მომხრე 10

წინააღმდეგი 0.

დღის წესრიგი დამტკიცებული იქნა(თან ერთვის).

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საფინანსო - საბიუჯეტოს სამსახურის უფროსის ვლადიემერ გელაშვილის ინფორმაცია საკითხზე - **ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 23 დეკემბრის N23 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე (მოხსენებითი ბარათი თან ერთვის)**

აზრი გამოთქვეს:

თ. ავალიშვილმა, რომელმაც კითხვით მიმართა მომხსენებელს თუ რამდენს შეადგენდა დაბრუნებული თანხა და თუ გაქვთ გაკეთებული ანალიზი რატომ არ შესრულდა სამუშაოები.

ვ. გელაშვილმა უპასუხა, რომ ეს თანხა შეადგენს 452 340 ლარს ხოლო, რაც შეეხება სამუშაოების შეუსრულებლობას ეს მეწარმის ცუდი მუშაობის შედეგად არის გამოწვეული.

მ. ბარბაქაძემ (სხდომის თავმჯდომარემ) აღნიშნა, რომ იზიარებს კოლეგის კრიტიკას და თქვა, რომ სამართლებრივად საკრებულოს რაც შეეძლო, რომ გაეკეთებია გააკეთა, კერძოდ ის, რომ მერიის შესაბამისი სამსახურების საქმიანობა მოისმინა და შეაფასა უარყოფითად.

ი. მაღრაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ პროექტები, რომლებიც იყო და არ გაკეთდა, მათი სახარჯთაღრიცხვო ღირებულება, რომ იზრდება ხელახლა გადასინჯვის გამო ამით, ხომ ზარალდება ბიუჯეტი?

ვ. გელაშვილი, რა თქმა უნდა ზარალდება.

ქ. ზუმბაძემ აღნიშნა, რომ პარკში საბავშვო ატრაქციონების გაკეთებას, როგორც იქნა მოვესწარით, უკვე ზიანდება, იქნებ მივხედოთ.

ვ. ჭიპაშვილმა, რომელმაც მოკლედ მიმოიხილა წარმოდგენილი პროექტი და განმარტება გააკეთა წარმოდგენილი საბიუჯეტო ცვლილების შესახებ

მ. ბარბაქაძემ (სხდომის თავმჯდომარემ) საკითხის შესწავლა და ღონისძიებების გატარება დაავალა საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს მალხაზ ფხალაძეს

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის 2021 წლის 16 თებერვლის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში შეტანასთან დაკავშირებით

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 10 წევრი:

მომხრე 10

წინააღმდეგი 0.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს 2021 წლის 16 თებერვლის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში (თან ერთვის).

2. საკრებულოს აპარატს დაევალა რიგგარეშე სხდომის მოწვევის ორგანიზება.

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის ანგარიში საკითხზე - **ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის გაწეული მუშაობის შესახებ**

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის 2021 წლის 01 მარტის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში შეტანასთან დაკავშირებით

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 10 წევრი:

მომხრე 10

წინააღმდეგი 0.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს 2021 წლის 01 მარტის სხდომის დღის წესრიგში.

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს მდივნის ინგა ბერაძის ინფორმაცია საკითხზე - **ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2021 წლის სამოქმედო გეგმისა დამტკიცების შესახებ**

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის 2021 წლის 01 მარტის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში შეტანასთან დაკავშირებით

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 10 წევრი:

მომხრე 10

წინააღმდეგი 0.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1.საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს 2021 წლის 01 მარტის სხდომის დღის წესრიგში.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. დამტკიცდეს 2021 წლის 16 თებერვლის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგი (თან ერთვის).

2. დამტკიცდეს 2021 წლის 01 მარტის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგი (თან ერთვის).

ამით ბიუროს სხდომის მიერ განსახილველი საკითხი ამოიწურა და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 თებერვლის

რიგგარეშე სხდომის

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 23 დეკემბრის N23 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ვლადიმერ გელაშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 01 მარტის

მორიგი სხდომის

დღის წესრიგი

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის განხილვისა და შეფასების თაობაზე

მომხს: ოთარ ლურსმანაშვილი

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2021 წლის სამოქმედო გეგმისა დამტკიცების შესახებ

მომხს: ინგა ბერაძე

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე